დამტკიცებულია: *დანართი: #1*
საქართველოს სახალხო დამცველის
#88(30.05.2014) ბრძანებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სახალხო დამცველის
სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთა შესარჩევი
კონკურსის წესის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესს.

მუხლი 2. ზოგადი დებულებანი

1. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3[1], მე-19 და მე-19[1] მუხლებით გათვალისწინებული წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაკომპლექტება ხდება სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებით, გარკვეული ვადით (არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად).
2. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთა მოვალეობაა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან ერთად თავისუფლების აღკვეთისა და თავისუფლების სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში მონიტორინგში (ვიზიტებში) მონაწილეობა – შემოწმების ჩატარება და ანგარიშგება.
3. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები შეირჩევიან შემდეგი პროფილების მიხედვით:

01 E – სპეც იალისტი ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში
02 E – სპეციალისტი ბავშვზე ზრუნვის სფეროში
03 E – სპეციალისტი სასჯელაღსრულების სფეროში
04 E – სპეციალისტი სამხედრო სფეროში
05 D - სპეციალისტიფსიქიატრი
06 D -სპეციალისტი ფსიქიატრი
07 D - ზოგადი პროფილის ექიმი
08 P - ფსიქოლოგი
09 P - ფსიქოლოგი
10 D - ექიმი პედიატრი
11 S - სოციალური მუშაკი
12 S - სოციალური მუშაკი

13 D - ექიმი გერიატრი

4. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისადმი პოზიციის დასაკავებლად საჭირო მოთხოვნები დგინდება სახალხო დამცველის მიერ, საკონსულტაციო საბჭოსთან შეთანხმების საფუძველზე.
5. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთა შესარჩევად გამართული კონკურსი (შემდგომში – "კონკურსი") არის კანდიდატის შესაბამისობის შეფასება საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის პოზიციის მოთხოვნებთან.
6. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.
7. ამ კონკურსის ფარგლებში მოწვეული წევრი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

მუხლი 3. საკონკურსო კომისიის მიზანი და ფუნქციები

1. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთა შესარჩევად იქმნება საკონკურსო კომისია (შემდგომში - "კომისია") საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით.
2. საკონკურსო კომისიის საქმიანობის მიზანია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სპეციალურ პრევენციულ ჯგუფის წევრობის შესაბამისი კანდიდატის შერჩევა.
3. საკონკურსო კომისიის ძირითადი ფუნქციაა კანდიდატის პროფესიული დონის, კვალიფიკაციის, პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაფასებელი პროცედურის წარმართვა ღია კონკურსის წესით და შერჩეული კანდიდატების რეკომენდაციით წარდგენა საქართველოს სახალხო დამცველისთვის.

მუხლი 4. კომისიის შემადგენლობა და ფუნქციები

1. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთა შესარჩევი კონკურსის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, წევრებს და კომისიის მდივანს განსაზღვრავს საქართველოს სახალხო დამცველი.
2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის უფლება–მოვალეობებს ახორციელებს თავმჯდომარის მოადგილე.
3. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებს შორის ანაწილებს უფლება–მოვალეობებს, განსაზღვრავს კომისიის მუშაობის რეჟიმს და წარმართავს კონკურსის მიმდინარეობის პროცესს.
4. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ეხმარება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს კონკურსის მიმდინარეობის პროცესის წარმართვაში.
5. კომისიის მდივანს ევალება კონკურსის მოსამზადებლად აუცილებელი ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა, მათ შორის, კანდიდატთა განცხადებების მიღება, მათი საბუთების შემოწმება და შესაბამისი დოკუმენტაციის კომისიისთვის წარდგენა.

მუხლი 5. საქართველოს სახალხო დამცველის როლი კონკურსის მიმდინარეობისას

საქართველოს სახალხო დამცველს შეუძლია დაესწროს კონკურსის სხდომებს. საქართველოს სახალხო დამცველი არ არის კომისიის წევრი და არ იღებს მონაწილეობას საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებაში.

მუხლი 6. საკონკურსო კომისიის დანიშვნის წესი

1. კომისიის წევრებს და კომისიის მდივანს ნიშნავს საქართველოს სახალხო დამცველი.
2. კომისიის წევრები ინიშნებიან მათი თანხმობით.

მუხლი 7. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი

1. კომისიის სხდომას უძღვება კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
3. კომისიის სხდომები უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა რაოდენობის ნახევარზე მეტი.
4. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით.
5. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
6. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები.
7. ოქმს ადგენს კომისიის მდივანი.
8. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 8. საკონკურსო კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება

საკონკურსო კომისიაში წევრთა საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი.

მუხლი 9. კონკურსის გამოცხადება

1. კონკურსს აცხადებს საქართველოს სახალხო დამცველი.
2. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სახალხო დამცველის ვებ-გვერდზე. ასევე შესაძლებელია ინფორმაცია გავრცელდეს სხვა საშუალებებით.
3. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
ა) დაწესებულების დასახელებას და კონკურსის წესით შესარჩევი წევრის პროფილის დასახელებას;
ბ) კანდიდატისათვის წაყენებულ მოთხოვნებს;
გ) აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და წარდგენის ვადას;
დ) საკონკურსო კომისიის მისამართს.

მუხლი 10. საბუთები, რომელთა წარმოდგენაც ევალება კონკურსანტებს

კონკურსანტმა უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები:

1. წერილობითი განცხადება საქართველოს სახალხო დამცველის სახელზე;
2. სამოტივაციო წერილი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად);
5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
6. კონკურსანტს საკუთარი სურვილით შეუძლია წარმოადგინოს სხვა დოკუმენტაციაც (სერთიფიკატები, დიპლომები, რეკომენდაციები და ა.შ)

მუხლი 11. კონკურსის ჩატარების დრო

1. კონკურსი ტარდება მისი გამოცხადებიდან 3 თვის ვადაში.
2. კონკურსის ჩატარების დრო და ადგილი ეცნობებათ კონკურსანტებს კონკურსის ჩატარებამდე 3 დღით ადრე მაინც.

მუხლი 12. კონკურსის ჩატარების ფორმა

კონკურსი ტარდება ორ ეტაპად:
1. პირველი ეტაპი – დოკუმენტების განხილვა;
2. მეორე ეტაპი – გასაუბრება;
3. პირველ ეტაპზე მოხდება წარდგენილი დოკუმენტების შეფასება და შეფასების საფუძველზე შერჩეული კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას.

მუხლი 13. კონკურსის შედეგები

1. კომისია გასაუბრების დამთავრების შემდეგ აჯამებს კონკურსის შედეგებს.
2. ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, კომისია ადგენს ოქმს და საქართველოს სახალხო დამცველს რეკომენდაციის სახით წარუდგენს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთა კანდიდატურებს.
3. ზემოაღნიშნული ოქმი, რომელიც რეკომენდაციის სახით წარედგინება საქართველოს სახალხო დამცველს, არ არის სავალდებულო ხასიათის და არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს.
4. რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველი იღებს გადაწყვეტილებას კომისიის მიერ წარდგენილ კანდიდატების სპეციალური პრევენციული გჯუფის წევრად დანიშვნის (სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთა შემადგენლობის დამტკიცების) ან დანიშვნაზე უარის (ან დამტკიცებაზე უარის თქმის) თქმის შესახებ.

მუხლი 14. კომისიის მუშაობის შეწყვეტა

კომისია საქართველოს სახალხო დამცველისათვის რეკომენდაციის წარდგენის მომდევნო დღიდან წყვეტს მუშაობას.